ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლში დამატების შეტანის შესახებ

სავეტერინარო წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს დამატება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 183-ე მუხლში და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 183. სავეტერინარო წესების დარღვევა

სავეტერინარო წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა ან წინასწარი შეცნობით შეიძლება მოჰყოლოდა ეპიზოოტიის გავრცელება ან სხვა მძიმე შედეგი, –

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1974 წლის 29 აპრილი.